ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. ივნისის 15. № 14 ტფილისი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება.

79. „შტატების დამტკიცების წესისა და დადგენილი შტატების დაცვისათვის კონტროლის გაწევის თაობაზე" გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-2 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

80. სიღნაღის სასოფლო-სამეურნეო კომბინატის საერთო ხელმძღვანელობისა და სამუშაოთა დაგეგმვის საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის დაკისრების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

81. 1936 წელს სახელმწიფოსთვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

ფინანსები.

82. „1936 წლისათვის საქართველოს სსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების თაობაზე" სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. მარტის 20-ის დადგენილების ნაწილობრივი შეცვლის შესახებ.

83. „1936 წელს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებით კოლმეურნეთა და ერთპიროვნული მეურნეთა მეურნეობების დაბეგვრის თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-9 მუხლის მეორე ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ.

84. ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-17 და 18 მუხლების შეცვლის შესახებ.

85. საშემოსავლო გადასახადით მე-3 №-ის განრიგის თანახმად დაბეგრილ პირთა და აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ და სამსახურში ან სამუშაოზე არამყოფ პირთა კუთვნილი შენობების გადასახადის გადიდების შესახებ.

სისხლის სამართალის.

86. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 72 და 73 მუხლის დამატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება

79. დადგენილება ს.კ.ს.

„შტატების დამტკიცების წესისა და დადგენილი შტატების დაცვისათვის კონტროლის გაწევის თაობაზე“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-2 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-2 მუხლს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისას „შტატების დამტკიცების წესისა და დადგენილი შტატების დაცვისათვის კონტროლის გაწევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 23 №-ი, მუხ. 130) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. ქ. ტფილისის სარაიონო საბჭოებისა და ამ საბჭოების ბიუჯეტით დასაფინანსებელი დაწესებულებების შტატებს და საშტატო კონტიგენტებს ამტკიცებს ტფილისის საქალაქო საბჭო“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. აპრილის 22. № 427.

ტფილისი.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა.

სოფლის მეურეობა

80. დადგენილება ს.კ.ს.

სილნაღის სასოფლო-სამეურნეო კომბინატის საერთო ხელმძღვანელობისა და სამუშაოთა დაგეგმვის საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისთვის დაკისრების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სილნაღის სასოფლო-სამეურნეო კომბინატის საერთო ხელმძღვანელობა და მისი მოქმედების დაგეგმა დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ამ კომბინატის სილნაღის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის უშუალო გამგებლობაში დატოვების როგორც დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანიზაციის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. აპრილის 20. № 408.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა. მომარაგება.

81. დადგენილება ს.კ.ს.

1936 წელს სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

„1936 წელს სახელწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. აპრილის 19-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ ცაკის „იზვესტია“ 1936 წ. № 93) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გავრცელდეს 1936 წელზე მოქმედება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 29-ის და 1935 წ. მარტის 11-ის დადგენილებებისა „სახელმწიფოსთვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 2, მუხ. 44; 1935 წ. № 9, მუხ. 49) შემდეგი ცვლილებებით თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ც. კ-ს 1936 წ. მარტის 7-ის დადგენილებისა „წმინდამატყლოვანი მეცხვარეობის განვითარების და კოლმეურნეებისათვის პირად სარგებლობად ცხვრის შეძენაში დახმარების გაწევის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 15 მუხ. 128):

ა. დაწესებულ იქნას კოლექტიური მეურნეობების, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის საქართველოს სსრ ყოველ ადგილას მატყლის ჩაბარების შემდეგი ნორმები მერინოსი ცხვრის თვითეულ სულზე და აგრეთვე წმინდა მატყლის გამოსავლის შემდეგი პროცენტი:

ცხვრის ჯიში	ჩაბარების ნორმები კილოგრამ.		წმინდა მატყლის გამოსავალის ნორმები
	კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის	ერთპიროვნული მეურნეობებისათვის	
მერინოსი „რამბულიე“	3,5	4	38
მერინოსი „პრეკოსი“	2,8	3,2	35
ადგილობრივი მერინოსი	3,2	3,8	31

წმინდა მატყლის დაწესებულ პროცენტზე მეტი გამოსავლისას სათანადოდ მცირდება ჭუჭყიანი მატყლის ჩაბარების ნორმები; ხოლო წმინდა მატყლის გამოსავალის პროცენტების შემცირებისას ჭუჭყიანი მატყლის ჩაბარების ნორმები სათანადოდ დიდდება.

ბ) დაწესებულ იქნას კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის მეტისის ცხვრის პირველი სამი გენერაციის (თაობის), მქისე-მატყლოვანი ცხვრის და თხის მატყლის ჩაბარების ქვემომდევნო ნორმები: აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარის ასსრ-ისა, სამხერეთ-ოსეთის ავტ. ოლქისა და აგრეთვე ყვარლის რაიონისთვის საშუალო, ხოლო საქართველოს სსრ-ის დანარჩენი რაიონებისათვის მტკიცე-ნორმები (გრამობით თითო სულზე):

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტ. რესპ., ავტ. ოლქი და რაიონები	კოლმეურნეობები			კოლმეურნეები		ერთპიროვნული მეურნ.	
	მქისე და ნახევ. მქისე მატყლი	მქისე და ნახევ. მქისე მატკნ. მატყ.	თხის მატყლი	მქისე და ნაკნ. მქისე მატყლი	თხის მატყლი	მქისე და ნახევ. მქისე მატყლი	თხის მატყლი
ტფილისის	1600	50	250	1250	220	1450	250
დუშეთის	1650	50	—	1200	—	1400	—
ყაზბეგის	1650	50	—	1250	—	1500	—
თიანეთის	1450	50	250	1150	220	1400	250
თელავის	1600	50	250	1200	220	1450	250
გურჯაანის	1600	50	250	1220	220	1400	250
ყვარლის	1500	50	250	1000	220	1100	250
ლაგოდეხის	1400	50	250	1200	220	1350	250
სიღნაღის	1650	50	250	1250	220	1500	250
საგარეჯოს	1600	50	250	1220	220	1400	250
აღბულახის	1550	50	250	1200	220	1350	250
წალკის	1550	50	250	1080	220	1200	250
ყარაიას	1700	50	250	1260	220	1500	250
ბორჩალოს	1700	50	250	1260	220	1450	250
ლუქსემბურგის	1600	50	250	1200	220	1400	250
ბაშკიჩეთის	1700	50	250	1220	220	1400	250
კასპის	1400	50	250	1200	220	1350	250
გორის	1400	50	250	1200	220	1350	250
ხაშურის	1400	50	250	1200	220	1350	250
ბორჯომის	1400	50	250	1200	220	1350	250
ახალციხის	750	50	250	585	220	600	250
ადიგენის	—	—	—	540	220	600	250
ასპინძის	650	50	250	540	220	600	250
ახალქალაქის	1250	50	250	900	220	1000	250
ბოგდანოვკის	1400	50	250	1000	220	1100	250
წალენჯიხის	1000	50	—	675	—	750	—
აფხაზეთის ასსრ	1000	50	—	675	—	750	—
აჭარის ასსრ	1000	50	—	700	—	800	—
სამხრეთ-ოსეთის აო . . .	1400	50	250	1050	220	1200	250

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ნორმა მეოთხე და უფრო მაღალი გენერაციის (თაობის) მეტისებისა კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს უხდა შეეფარდოს იმ რაოდენობით, რაც დაწესებულია სათანადო ჯიშის წმინდა მატყლიან ცხვრისათვის;

როდესაც შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ რომელი გენერაციისაა (თაობისაა) მეტისი—ცხვარი, გენერაცია განისაზღვრება ცხვრის მატყლის ხარისხის მიხედვით, თანახმად სადამზადებული სტანდარტისა და ისეთი მეტისი ცხვარი, რომლის მატყლი სამეტისო მატყლის სადამზადებლო სტანდარტით პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კლასისაა, მიეკუთვნება პირველ სამ გენერაციას (თაობას), ხოლო ისეთ მეტისებს, რომლებიც უკვე გადაყვანილი არიან მერინოსის ფარაში, შეეფარდებათ ის ნორმები, რაც დაწესებულია სათანადო ჯიშის მერინოს—ცხვრისთვის;

გ) ისეთ კოლმეურნეებს, რომელთაც პირად სარგებლობაში ჰყავთ წმინდა მატყლიანი და ნახევრად მქისემატყლიანი ცხვარი, მიენიჭოს მატყლის ჩაბარების მხრით ის შეღავათები, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის მარტის 7-ის დადგენილების მეოთხე კარის მესამე მუხლით;

დ) განთავისუფლებულ იქნას კოლექტიური მეურნეობები და ცალკეული საკოლმეურნეო კომლები სახელმწიფოსათვის წმინდა ჯიშიან, წმინდამატყლიან („რამბულიე"-სი, „რეკოის"-ის და ადგილობრივი მერინოსის ჯიშის) სანაშენო ყოჩების მატყლის ჩაბარებისაგან.

შენიშვნა. წმინდამატყლოვანი ყოჩების ჯიშს და მათ რაოდენობას თვითეულ რაიონში ამოწმებს მატყლის დამამზადებელი რაიონული კონტორის წარმომადგენელი საარაიონო საძიწათმოქმედო განყოფილების წარმომადგენელთნა ერთად.

2. 1936 წელს დატოვებულ იქნას ძალაში მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების მქონე კოლმეურნეობების წევრებისათვის მატყლის ჩაბარების შეღავათი-კოლმეურნეებისათვის დაწესებული ნორმების მონაკლების სახით, ხახელმწიფოსათვის ფერმების მიერ ჩასაბარებელი მატყლის 20 პროცენტის რაოდენობით,

3. დაწესებულ იქნას, რომ სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარება ვრცელდება იმ მუშებისა და მოსამსახურეების მეურნეობებზე სოფლად, რომელთაც ჰყავთ მატყლოვანი ცხოველი, ხოლო ქალაქებსა და მუშათა დაბებში მატყლს სავალდებულო წესით აბარებენ ის მეურნეობანი, რომელნიც იხდიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, ან რომელთაც ეძლევათ თესვის დავალებანი. აღნიშნული მეურნეობები მატყლს აბარებენ სახელმწიფოს იმ ნორმებით, რაც დაწესებულია კოლმეურნეებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. აპრილის 23. № 441.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 98 №-ში 1936 წ. აპრილის 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

82. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„1936 წლისათვის საქართველოს სსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების თაობაზე“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. მარტის 20-ის დადგენილების ნაწილობრივი შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1936 წლისათვის საქართველოს სსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების თაობაზე“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. მარტის 20 ს დადგენილების ნაწილობრივი შესაცვლელად (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 9, მუხ.62), შეტანილ იქნას 1936 წლისათვის საქართველოს სსრ ადგილობრივი (სარაიონო) მრეწველობის საბიუჯეტო დოტაციის განაწილების საფინანსო გეგმაში შემდეგი შესწორებანი:

ხონის რაიონისათვის საბიუჯეტო ასიგნობები განისაზღვროს 36,2 ათას მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 53 ათას მანეთისა,

ლანჩხუთის რაიონის	25.000	მან. ნაცვლად	11.000	მანეთისა
ცხაკაიას „	35.000	„ „	47.000	„
ლუქსებურგის „	12.000	„ „	25.000	„
ტფილისის „	10.000	„ „	5.000	„

გათვალისწინებულ იქნას საბიუჯეტო დოტაციები:

ფოთის ქალაქის საბჭოსათვის . . .	20.000	მანეთის რაოდენობით
ზუგდიდის რაიონისათვის	20.000	„ „
ადიგენის „	8000	„ „

გამორიცხულ იქნას სამტრედიის რაიონის საბიუჯეტო დაფინანსება 25,2 მანეთის რაოდენობით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა და ადგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატებს გაითვალისწინონ აღნიშნული ცვლილებები სარაიონო მრეწველობის საფინანსო გეგმაში.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1936 წ. აპრილის 13. № 139/387.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

83. დადგენილება ს.კ.ს.

„1936 წელს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებით კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობების დაბეგვრის თაობაზე“ გამოცემული დადგენილები მე-9 მუხლის მეორე ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ.

„ქალაქად და სოფლად საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების დაწესების შესახებ“ გამოცემული, 1934 წ. იანვრის 3-ის დადგენილების 33 მუხლის შეცვლის თაობაზე გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. თებერვლის 17-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. 11 №-ი, მუხ. 87) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„1936 წელს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებით კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეობების დაბეგვრის შესახებ“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. იანვრის 23-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. №. 3, მუხ. 24) მე-9 მუხლის მეორე ნაწილი მოცემულ იქნას შემდეგ რედაქციით:

„კოლექტიური მეურნეობიდან გამოსული მეურნეობა გამოსაღებს იხდის, როგორც ერთპიროვნული მეურნეობა, იმ საშემოსავლო წყაროების მიხედვით, რაც აქვს გამოსაღების ჩატარების დროს“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. აპრილი 22. № 418.
ტფილისი.

---

84. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს

ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-17 და 18 მუხლების შეცვლის შესახებ.

„ადგილობრივი ბაზრების მმართველობის შესახებ გამოცემული, სსრ კავშირს სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. თებერვლის 4-ის თარიღის და 172 №-ის დადგენილების მე-9 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. მე-7 №-ი, მუხ. 65), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ;

1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილებაში „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მე-17 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-10 №-ი, მუხ, 57) დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„17 (მე-2 ნაწ.) თითოჯერითი გამოსაღებით მიღებული თანხები მთლად მიიქცევა ბაზრების მმართველობის, ექსპლოატაციისა და კეთილმოწყობის საჭიროებისათვის.“

2. მე-18 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-10 №-ი, მუხ. 57) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„18. თითოჯერითი გამოსაღები გადახდება კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მშრომელ გლეხებს, რომელნიც ჰყიდიან თავიანთ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების პროდუქტებს, თავიანთ საკუთარ ოთხფეხ საქონელს, თავიანთ მიერ დამზადებულ შეშას და ნახშირს და აგრეთვე თავიანთი შრომით მოპოებულ მხილეულს, სოკოს, ყვავილებს, თევზს და ნანადირევს; მშრომელ შინამრეწველებს, რომელნიც ჰყიდიან თავიანთი წარმოების ნაკეთობას და ქალაქის მცხოვრებლებს, რომელნიც ჰყიდიან თავიანთი დამხმარე სასოფლო მეურნეობის პროდუქტებს (თავიანთი ძროხის რძეს, თავიანთი ბალის ან ბოსტნის ხილს და ბოსტნეულს):

თითოჯერითი გამოსაღების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთი დღის ვაჭრობისათვის:

საზიდართ ვაჭრობისათვის	1 მან.
ხელზე, თაფხით და სხვა მისთ. ვაჭრობისათვის . .	20 კაპ.
თითო სულ მსხვილფეხა საქონელზე	1 მან.
თითო სულ წვრილფეხა საქონელზე	50 კაპ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი**

1936. წ. აპრილის 22 № 134/437.
ტფილისი.

---

85. დადგენილება ს.კ.ს.

საშემოსავლო გადასახადით მე-3 №-ის განრიგის თანახმად დაბეგრილ პირთა და აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ და სამსახურში ან სამუშაოზე არმყოფ პირთა კუთვნილი შენობების გადასახადის გადიდების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთვას საქალაქო საბჭოებს გაადიდონ 1936 წ. იანვრის 1-დან იმ შენობების გადასახადი, რაც ეკუთვნის იმ პირთ, რომელნიც დაბეგრილ არიან საშემოსავლო გადასახადით მე-3 №-ის განრიგის თანახმად, და იმ პირთ, რომელნიც სამსახურში ან სამუშაოზე არ იმყოფებიან და რომელთაც ჩამორთმეული აქვთ აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება,—ღირებულების 2%-მდე სადაზღვეო შეფასების მიხედვით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. აპრილის 22. № 425.

ტფილისი.

სისხლის სამართალი

86. დადგენილება ც.ა.კ. ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 72^1 და 72^2 მუხლების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 72^1 და 72^2 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„72^1. საზოგადო მომუშავე აქტივისტის ან დამკვრელის მიმართ ძალადობის ჩადენა მის საწარმოო თუ საზოგადოებრივ მუშაობასთან დაკავშირებით, უკეთუ ამ მოქმედებას 58^8 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები არა აქვს, გამოიწვევს.

„თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე.“

„72^2. მოკვლის, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარა თანამდებობის პირის მიმართ მის სამსახურებრივ მოქმედებასთან დაკავშირებით, აგრეთვე საზოგადო მომუშავე აქტივისტის ან დამკვრელის მიმართ, მის საწარმოო თუ საზოგადოებრივ მუშაობასთან დაკავშირებით, გამოიწვევს

იძულებითს მუშაობას ექვს თვემდე, ან ჯარიმას სამას მანეთამდე, ან უწყებული ადგილის ფარგლებიდან განდევნას სხვა ადგილას სავალდებულო დასახლებით, ან უმისოდ, სამ წლამდე“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. აპრილის 16. № 135/438.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 105 №-ში 1936 წ. მაისის 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 20 კაპ.

გამოქმცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 27. 3/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 5/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 28/IV; ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/V; ტირაჟი 1.900

თავლ. რწმ. № 87058 საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკვ. № 444